



პროგრამის სახელწოდება

ვიზუალური ხელოვნების და დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ხელოვნების ბაკალავრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

240

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

ვიზუალური ხელოვნების და დიზაინის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს: მისცეს ფართო ცოდნა სახვით ხელოვნებაში და დიზაინში, კერძოდ: ფერწერაში, კომუნიკაციის დიზაინსა და ინტერიერის დიზაინში; მისცეს ცოდნა, რათა სტუდენტი კრიტიკულად იაზრებდეს ფერწერაში, კომუნიკაციის და ინტერიერის დიზაინში არსებულ მიმდინარეობებს; შეეძლოს ფერწერასა და დიზაინში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

პროგრამა მიზნად ისახავს შრომის ბაზარზე და სახელოვნებო ასპარეზზე განათლებული, კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

დასაქმების სფეროები

ვიზუალური ხელოვნების და დიზაინის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები მიიღებენ ვიზუალური ხელოვნების, კომუნიკაციის დიზაინისა და ინტერიერის დიზაინის სფეროში თანამედროვე, უახლეს თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარებს და გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს მათ

კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე და წარმატებულ კარიერის საფუძველს სახელოვნებო საქმიანობაში. ეს განპირობებულია იმითაც, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია მსოფლიოში არსებული მოწინავე სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების მაგალითების გათვალისწინებით და ამასთან, აკადემიური პერსონალი და ლექტორები არიან პრაქტიკოსი მხატვრები, ხელოვანები, კომუნიკაციის და ინტერიერის დიზაინერები, რომლებიც სწავლებასთან ერთად აქვთ წარმატებული (საერთაშორისო) პროფესიული კარიერა.

ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს შემდეგი პროფილის მქონე კომპანიებში, სახელწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში:

- სამხატვრო გალერეებში, მუზეუმებსა და ხელოვნების აუქციონებზე
- სარეკლამო სააგენტოებში
- ინტერიერის დიზაინსა და არქიტექტურულ კომპანიებში

გარდა ამისა, კურსდამთავრებულს შეეძლება:

- შექმნას საკუთარი პორტფოლიო და იყვენენ დამოუკიდებელი ხელოვანები
- დაიწყოს საკუთარი სახელოვნებო ბიზნესი

შესაბამისად, ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ საკმაოდ ფართო დასაქმების პერსპექტივები. გარდა ამისა, კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, კომბინირებული წესით:

- შემოქმედებითი ტური და
- ერთიანი ეროვნული გამოცდები (ორი სავალდებულო საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა).

საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის #19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს თბილისის თავისუფალ

უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში:

- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესალებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ზოგადი კომპეტენციები

- კრიტიკული ანალიზის, მსჯელობისა და დებატის უნარი
- მშობლიურ ენაზე პროფესიული წერისა და კომუნიკაციის უნარი
- უცხოურ ენაზე (ინგლისური) წერისა და კომუნიკაციის უნარი

- გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი

დარგობრივი კომპეტენციები

- კურსდამთავრებულს ეცოდინება ხელოვნების ისტორიის ძირითადი პერიოდები და მათი დახასიათება
- კურსდამთავრებულს ექნება ხელოვნების ნაწარმოების აღწერის და ანალიზის უნარი
- კურსდამთავრებულს ეცოდინება თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუციები, ხელოვანის, კურატორის, გალერისტის როლი
- კურსდამთავრებულს ეცოდინება სხვადასხვა მასალის და ტექნიკის გამოყენება ხელოვნებაში და დიზაინში
- კურსდამთავრებულს განუვითარდება ნამუშევრებში კონცეპტუალური და სტილისტური თანმიმდევრულობის დაცვის უნარი
- კურსდამთავრებულს შეეძლება ხატვის საშუალებით ორგანოზომილებიან სიბრტყეზე თავისი კონცეფციის შესაბამისი კონსტრუქციული მოცულობის შექმნა
- კურსდამთავრებულს ეცოდინება ხატვის და ფერწერის ტექნიკური უნარ-ჩვევების საფუძვლები
- კურსდამთავრებულს განუვითარდება ბრენდის შექმნის, მართვის და კომუნიკაციის უნარი
- კურსდამთავრებულს შეეძლება გამოიყენოს დიზაინის გამოხატვის საბაზისო ხერხები
- კურსდამთავრებულს ეცოდინება ვიზუალურ კომუნიკაციებში კონცეფციის შემუშავება, განხორციელება და პრეზენტაცია
- კურსდამთავრებულს ეცოდინება იდეის სწორი თხრობა და სცენარის წერის და სიუჟეტის განვითარება
- კურსდამთავრებული გამოიმუშავებს სივრცის ანალიზის და დიზაინ კონცეფციის ჩამოყალიბების უნარს
- კურსდამთავრებული შეძლებს პროდუქტის დიზაინის კონცეფციის შემუშავებას, დიზაინის 3D მოდელირებას და პროდუქტის შექმნას

პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტს:

- ეცოდინება სახვითი ხელოვნება, კერძოდ, ფერწერა და ვიზუალური ხელოვნება, რაც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გაცნობიერების

შესაძლებლობას.

- გაცნობიერებული ექნება ფერწერასა და ვიზუალურ ხელოვნებაში კომპლექსური საკითხები.
- ეცოდინება ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა ეტაპები და განვითარება.
- ეცოდინება ცალკეული ეპოქებისა და რეგიონების/ქვეყნების (მაგ.: ახლო აღმოსავლეთი, საქართველო, თანამედროვე დასავლეთ ევროპა და ამერიკა, აღორძინების ხანა, შუა საუკუნეები, ა.შ.) კულტურული მონაპოვრები, ასევე ხელოვნების ნიმუშთა მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების ძირითადი კრიტერიუმები და მახასიათებლები.
- ეცოდინება ხელოვნების ნიმუშთა იდენტიფიცირების (ამა თუ იმ ხალხისა და ეპოქისადმი მიკუთვნებულობის) საფუძვლები და პრინციპები.
- ფერწერის კონცენტრაციის კურსდამთავრებულს, ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარდა, ეცოდინება ხატვის ტექნიკური საკითხები, ფერწერაში გამოხატვისა და ვიზუალური აღქმის ძირითადი პროცესები.
- ინტერიერის დიზაინის კონცენტრაციის კურსდამთავრებულს, ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარდა, ეცოდინება დიზაინის პროცესისასთვის აუცილებელ კომპონენტები, რომლებსაც შემდეგ პროექტებზე მუშაობისას გამოიყენებენ, ასევე, ექნება ინტერიერის დიზაინის მასალების და სტანდარტების საბაზო ცოდნა. კურსდამთავრებული გააცნობიერებს ინტერიერის დიზაინის შექმნისათვის დასმულ ამოცანებს; კურსდამთავრებულს ექნება ინტერიერის დიზაინის სფეროს ფართო ცოდნა, რაც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას.
- კომუნიკაციის დიზაინის კონცენტრაციის კურსდამთავრებულს, ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარდა, ეცოდინება გრაფიკული დიზაინის ტრადიციული და თანამედროვე მიმართულებები, (გრაფიკული) პროგრამების საბაზო პრინციპები, პროექტის შემუშავებისა და რეალიზების მეთოდები; კურსდამთავრებულებს ასევე ეცოდინებათ დიზაინის ისტორია, რომელიც მათ დაეხმარება ზოგადი წარმოდგენა შეექმნათ გრაფიკული დიზაინის სამყაროზე, თუ საიდან იწყება ეს ხელოვნება და რა საფეხურამდე მოდის მისი განვითარება.
- პრობლემების გადასაჭრელად, შეეძლება ფერწერისა, ვიზუალური ხელოვნების, ინტერიერის და კომუნიკაციის დიზაინისთვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენება.
- შეეძლება განახორციელოს კვლევითი ან/და პრაქტიკული ხასიათის პროექტები.
- შეეძლება სახელოვნებო და დიზაინერული კვლევებისა და არტისტული კარიერის წარმართვა.
- შეეძლება შემოქმედებითი პროცესების და პროექტების დაგეგმვა, მართვა და წარდგენა.
- შეეძლება გუნდური გადაწყვეტილებების მიღებაში აქტიური და ეფექტური

მონაწილეობა.

- შეეძლება შეარჩიოს და გამოიყენოს შესატყვისი კვლევის მეთოდი (მაგალითად: ფორმალური ანალიზი; კომპარატიული ანალიზი; მხატვრული ანალიზი).
- ფერწერის ხელოვნების კონცენტრაციის კურსდამთავრებულს შეეძლება: ხატვის ტექნიკების გამოყენება საკუთარ შემოქმედებით პროცესში; ფერწერული და ვიზუალური ხელოვნების ნამუშევრების შექმნა; მხატვრული ჩანაფიქრის ანალიზი, ვიზუალური კონცეფციის ჩამოყალიბება და სრულყოფა; ნამუშევრის მომზადება და ტექნიკური შესრულება.
- ინტერიერის დიზაინის კონცენტრაციის კურსდამთავრებულს შეეძლება: დიზაინის პროცესის ყველა ეტაპის იდენტიფიცირება, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი ინტერიერის დიზაინის პროექტის ამოცანის გადასაწყვეტად და დამოუკიდებლად შექმნისათვის; დასმული ამოცანის, ტექნიკური საკითხების, არსებული შეზღუდვებისა და სტანდარტების გათვალისწინებით პროექტის განხორციელება; ინტერიერის დიზაინის პროექტებზე დამოუკიდებლად და ჯგუფურად მუშაობა; სივრცის ანალიზი, დიზაინ-კონცეფციის ჩამოყალიბება და სრულყოფა, პროექტის შედგენა და ტექნიკური სპეციფიკაციების შემუშავება.
- კომუნიკაციის დიზაინის კონცენტრაციის კურსდამთავრებულს შეეძლება: დასმული ამოცანის შესაბამისად პროექტის ტექნიკურად შესრულება; გრაფიკული დიზაინის საშუალებებით იდეის გადამოხატვა და რეპრეზენტირება; კომუნიკაციის დიზაინის საბაზისო ხერხებით გამოხატვა და ბრენდბუქის დამოუკიდებლად შექმნა; სხვადასხვა გრაფიკული დიზაინერული პროგრამების გამოყენება; გრაფიკული დიზაინის ანალიზი, დიზაინ-კონცეფციის ჩამოყალიბება და სრულყოფა, პროექტის შედგენა და ტექნიკური დოკუმენტების შემუშავება.
- ფერწერის კონცენტრაციის კურსდამთავრებულს შეეძლება ვიზუალური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი სისტემური და განყენებული მონაცემების შეგროვებით, სიტუაციების და გარემოებების შეფასებით, ინტერპრეტაციით, განმარტებით სათანადო დასკვნის გაკეთება.
- ინტერიერის დიზაინის კონცენტრაციის კურსდამთავრებულს შეეძლება დამოუკიდებლად შეფასება და დასკვნის გაკეთება, როგორც საცხოვრებელ, ასევე კომერციულ სივრცეებზე. რაც მოიცავს სივრცის და მონაცემების ანალიზს, გარემოებების შეფასებას, კლიენტის/მომხმარებლის სპეციფიკის და მოთხოვნების შესწავლას.
- კომუნიკაციის დიზაინის კონცენტრაციის კურსდამთავრებულს შეეძლება დამოუკიდებლად შეფასება და დასკვნის გაკეთება კომუნიკაციის დიზაინის პროექტებზე, რაც მოიცავს სივრცის და მონაცემების ანალიზს, გარემოებების შეფასებას, კლიენტის/მომხმარებლის სპეციფიკის და მოთხოვნების შესწავლას.
- შეეძლება იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ

აზრის დეტალური და სტრუქტურირებული ვერბალური, წერილობითი და ვიზუალური მეთოდებით გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

- შეეძლება კომუნიკაციისათვის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.
- შეეძლება სფეროსთვის დამახასიათებელი საკითხების ირგვლივ დებატებში, დისკუსიებსა და საჯარო განხილვებში მონაწილეობა.
- შეეძლება წერიტი, ზეპირი და ვიზუალური პრეზენტაციის გაკეთება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- შეეძლება გუნდთან, დამკვეთებთან და კურატორებთან კომუნიკაცია.
- შეეძლება საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის ამოცანების დასმა, საჭიროებების დადგენა და მეთოდებისა და წყაროების შერჩევა.
- შეეძლება სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლება.
- შეეძლება მონაწილეობის მიღება ღირებულებების ფორმირების პროცესში და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.
- შეეძლება განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა.
- შეეძლება ხელოვანის ავტონომიურობის პრინციპების დაფასება და დაცვა.
- შეეძლება შემოქმედებითი თავისუფლებისა და ინტელექტუალური საკუთრების პრინციპების აღიარება და დაცვა.
- შეეძლება განსხვავებული აზრისა და შეხედულების პატივისცემა.
- შეეძლება ფერწერასა და ვიზუალურ ხელოვნებაში არსებული ტენდენციებისა და ღირებულებების პატივისცემა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დისკუსიები/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, პრაქტიკული მეცადინეობები, ანალიზი.

ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი, ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები, ესენია: საშინაო დავალებები, ტესტები, პრაქტიკული გამოცდა, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოების გარჩევა, ანგარიშები, პროექტი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლების მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს.

ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სასწავლო გეგმა (კურიკულუმი)

კურიკულუმი და სემესტრული გეგმა თან ახლავს პროგრამას.